პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 2 მარტი 1926 წ.

წელიწადი მეექვსე

ფასი 3 კ.

# წითელარმიელი

45 (1040)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა
ტელეფონი 2—24
განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## ნაყოფიერად დავასრულოთ მუშაობა

მეორე კვირაა რაც დაიწყო 1905 წელში დაბადებულ მუშურ-გლეხურ ახალგაზრდათა წვევამდე მზადება. ყველა ცნობები, რომელიც მოდის ადგილებიდან რედაქციამდე და რომელსაც ჩვენ ვბეჭდავთ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, მაჩვენებელია იმისა, რომ წვევამდელთა მეცადინეობა მზადების წერტებზე მიმდინარეობს დაკვირვებით წესით და გაცილებით უფრო გეგმიანად და ნაყოფიერად, ვინემ ეს იყო წარსულში. რაში გამოიხატება ყველა ეს საქმიანობა? წვევამდელთა მზადების წერტებზე უკვე ნორმალურად სწარმოებს სამხედრო მეცადინეობა, პოლიტ-საათების გატარება, წრეების მუშაობა, ა. ლ. კ. კ. კოლექტივების ჩამოყალიბება, კედლის გაზეთის გამოცემა და სხ. საერთო საქმიანობაში ჩაბმული არიან წვევამდელებიც.

მეცადინეობის დამთავრებამდე დარჩა კიდევ ძლიერ ცოტა დრო, სულ რამოდენიმე დღე. ადგილებზე მომუშავე ამხანაგებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები, რომ მეცადინეობა დამთავრდეს ნაყოფიერად და ამით მივიღოთ კარგი შედეგები. ყოველივე ამას ჩვენ მივაღწევთ, თუ წვევამდელთა შორის მომუშავე ამხანაგები იხელმძღვანელებენ წარსულში გატარებულ მუშაობის პრაქტიკიდან, თუ ენერგიულად გაატარებენ ცხოვრებაში ყველა იმ პროგრამებს, რომლის გავლა სავალდებულოა 1905 წელში დაბადებულ ახალგაზრდებისათვის, მთელი ამ მზადების დროის განმავლობაში.

გარდა ამისა, მზადების ნაყოფიერად დასრულება დამოკიდებულია იმაზედ, თუ როგორ მონაწილეობას მიიღებენ თავიანთი მხრით წვევამდელებიც ამ მუშაობაში და როგორ გულმოდგინეთ და ბეჯითად შეისწავლიან ყველა იმას, რასაც მათ გადასცემენ მათი მასწავლებლები—პოლიტ-ხელები და მეთაურები. ყოველ წვევამდელს უნდა ახსოვდეს, რომ ის არის მომავალი წითელი არმიელი, უნდა ახსოვდეს, რომ მომავალში მან უნდა შეავსოს წითელი არმიის რიგები და ამით გახდეს ღირსეული წითელარმიელი და ფხიზელი დამცველი საბჭოთა ხელისუფლებისა. რამდენათაც წვევამდელი კარგად მოემზადება სამხედრო და პოლიტ-საგანმანათლებლო დარგებში, იმდენათ უფრო ადვილი იქნება მისთვის წ. ჯარში სამსახური და საბჭოთა ხელისუფლებასაც შეუმცირებს ხარჯებს და სხ.

ამასთანავე ერთად წვევამდელებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ მათი კავშირი აუცილებელია ჩვენს გაზეთთან. მზადების დამთავრების შემდეგ თითოეულმა წვევამდელმა არ უნდა გასწყვიტოს კავშირი ჩვენთან და ხშირად მოგვწეროს თუ რას აკეთებს ის ქალაქად და სოფლად და რა მონაწილეობას ღებულობს ის წითელი არმიისა და საბჭოთა საერთო აღმშენებლობის საქმეში.

## ლატვიის მთავრობის განცხადება.

(„იზვესტიას“ წერილიდან)

„ლატვიის მთავრობა გამოვიდა დეკლარაციით (განცხადება) ჩვენს დიპლომატიურ შიკრიკებზე 5 თებერვალს მომხდარ თავდასხმის შესახებ.

ჩვენი კავშირის მშრომელები, რომლებიც დიდის ყურადღებითადევნებენ თვალყურს გამოძიებას ამ აღმაშფოთებელ ბოროტმოქმედების შესახებ, შეხვდება კმაყოფილებით ლატვიის მთავრობის ამ განცხადებას.

ლატვიის მთავრობა „აღუთქვამს საბჭოთა მთავრობას, რომ ის ღებულობს და შემდეგშიც იღებს ენერგიულ ზომებს, რათა სავსებით გაშუქებულ იქნას საქმე და აღმოჩენილ იქნას ამ საქმეში მონაწილე კერძო პირები და ორგანიზაციები“.

5 თებერვლის შემთხვევამ საბაბი მისცა ლატვიის ტერიტორიაზე შეხიზნულ თეთრგვარდიელებს მტრული გამოსვლებისთვის ჩვენი კავშირის წინაამდეგ.

ლატვიის მთავრობა აცხადებს, რომ ის მიიღებს გადამჭრელ ზომებს ცალკე პირებისა და ორგანიზაციების, განსაკუთრებით ემიგრანტების წინაამდეგ, რომლებიც სარგებლობენ ლატვიაში შეხიზვნის უფლებით და ბოროტად იყენებენ ამ უფლებებს. ბოლოს ლატვიის მთავრობა ღებულობს ვალდებულობას მიიღოს ყოველივე ზომა, რათა უზრუნველყოფილ იქნას საფრთხისაგან საბჭოთა კავშირის მოქალაქეები ლატვიის ტერიტორიაზე.

ლატვიის მთავრობის განცხადება აღგვითქვამს მკვლელობის სერიოზულად გამოძიებასა და ზომების მიღებას ჩვენდამი მტრულად განწყობილ ძალთა წინაამდეგ.

ამას ჩვენ კმაყოფილებით ვღებულობთ მხედველობაში.

მაგრამ ჩვენ შეუსუსტებელი ყურადღებით უნდა ვადევნოთ თვალყური გამოძიებას, რომელსაც აწარმოებს ლატვიის მთავრობა და დაუცადოთ მის მიერ მიღებულ ვალდებულებათა ასრულებას; აი მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩავთვალოთ საკითხი ამოწურულად“.

# ახალი რადიო ამბები

## ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრის ნოტა

12 დან 13 თებერვალს ორი შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა ლატვიის სანაპიროელს რომანენკოს. წაიღეს საბუთიები, ტელეფონის აპარატი და თან წაიყვანეს რომანენკო საზღვრის მეორე მხრისკენ ლატვიასა და საბჭოთა კავშირს შორის. შეპყრობილ იქნა ერთი თავდამსხმელი, რომელიც აღმოჩნდა ვინმე მასლოვი.

ამის შესახებ ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიმართა სსრკ-ს სრულ უფლ. წარმ.—ლს ლატვიაში ჩერნიხს და სთხოვა მოახდინოს გამოძიება და აცნობონ რომანენკოს ბედი ლატვიის ხელისუფლებას.

## ჩერნიხის პასუხი

ლატვიის ნოტაზე ჩერნიხმა განაცხადა, რომ სანაპირო წერტის უფროსი რამანენკო თავის ნებით რამოდენიმე თავისი თანამშრომლით გამოცხადდა სსრკ-ს სანაპირო რაზმში. რაც შეეხება მასლოვს, მას არ იცნობს საბჭოთა ხელისუფლება. რომანენკოს განცხადებით ის სანაპირო რაიონის მცხოვრებია და მსახურობს ლატვიის მზვერავთა სამსახურში.

საბჭოთა ტელეგრაფის სააგენტო აცხადებს, რომ რომანენკოს მოტაცება არის ზოგიერთი პირთა ცდები გაამწვავონ დამოკიდებულება ლატვიასა და საბჭოთა კავშირს შორის.

## ლატვიის მთავრობის განცხადება

ლატვიის მთავრობა თავის განცხადებაში მწუხარებას გამოსთქვამს საბჭოთა დიპლომატიური შიკრიკების მოკვლის გამო და აღუთქვამს საბჭოთა მთავრობას, რომ მიიღებს ყოველივე ზომებს საქმის გასაშუქებლად.

ამას გარდა ლატვიის მთავრობა აცხადებს, რომ ყოველგვარი აზრი, რომელიც გამოთქმული იყო დღემდის ამ საქმეზე ლატვიის გაზეთებში, მხედველობაში მისაღები არაა,ვინაიდან ის არ გამოხატავდა მთავრობის შეხედულებას.

შემდეგ განცხადებაში ნათქვამია, რომ ლატვიის მთავრობა ყოველგვარ ღონისძიებას იხმარს დაცულ იქნას ლატვიის ტერიტორიაზე საბჭოთა მოქალაქეების სიცოცხლე.

## ლი-ჩინ-ლინი შეტევაზე გადადის

მუკდენის გენერალ-ლი-ჩინ-ლინის ჯარებმა თეთრგვარდიელთა 2.000-ან რაზმის დახმარებით დაიკავეს ტიან-ცზინის სამხრეთით მდებარე ქალაქი მაჩანი.

ლი-ჩინ-ლინი სცდილობს გაარღვიოს სახალხო არმიის ბრძოლის ხაზი. ჯერ ჯერობით მისი ცდები უნაყოფოდ დამთავრდა.

## გერმანია-საბჭოთა შეთანხმების შესახებ

გაზეთი „ფოსიშე ცეიტუნგი“ ეხება გერმანია-საბჭოთა შეთანხმებას კრედიტის შესახებ და ითვალისწინებს გერმანია-საბჭოთა კავშირის მომავალ ურთიერთობის წარმატებებს.

გაზეთი აღნიშნავს საბჭოთა კავშირის მიღწევებს მეურნეობის განმტკიცების საქმეში და დასასრულ ამბობს:

„საბჭოთა ვაჭრობის ორგანოები განსაკუთრებით კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს აღებმიცემის საქმეში“.

## ვერ გაიტანეს თავისი.

დეპეშები გადმოგვცემენ, რომ საფრანგეთის მთავრობა დამარცხდა დამატებითი კრედიტის საკითხში მაროკოსა და სირიაში ომის საჭიროებისთვის. კამათის დროს კომუნისტები და სოციალისტები სასტიკად ილაშქრებდნენ მთავრობის წინაამდეგ მისი მოქმედების გამო სირიასა და მაროკოში.

## გლეხთა მოძრაობა

### სლოვაკიაში

სლოვაკიაში დაიწყო გლეხთა მღელვარება. ოთხასამდე გლეხმა დაიკავა ერთი დიდი მემამულის მიწები და შეუდგა მის დამუშავებას. მემამულის უფლებების დასაცავად გამოწვეულ იქნა ჟანდარმერია და პოლიცია.

ეს მიწები უნდა გადასცემოდა გლეხებს, მაგრამ საქმეს აჭიანურებდნენ. მიწის გადაცემის უკანასკნელ ვადად დანიშნული იყო 1927 წელი.

მამულის მმართველობა მეტად ავიწროებდა გლეხობას და ბოლოს უარიც კი განაცხადა კოლექტიურ ხელშეკრულების დადებაზე.

### გერმანიაში

გერმანიის ერთ-ერთ მეღვინეობის რაიონში რამოდენიმე ათასი მეღვინე გლეხი შავი დროშებითა და პლაკატებით რომლებიც გამოხატავდნენ მეღვინეთა საჭიროებებს, შეიჭრნენ ბერკმასტელის საადგილმამულო საზოგადოებაში და დასწვეს საქმეები და ბინის მოწყობილობა. მღელვარება ფართოვდება. იყო იარაღით შეტაკების შემთხვევები პოლიციასა და გლეხთა შორის. ზოგიერთ ადგილებიდან გლეხებმა ფიწლებითა და ცელებით განდევნა პოლიცია.

## უნგრელ ყალბი ფულის მჭრელთა საქმე.

უნგრელ ყალბი ფულის მოხელეთა საქმეზე დაკითხულ გრაფ ემერიხ კაროლის მოწმობა ამტკიცებს, რომ ხსენებულ ორგანიზაციაში მონაწილეობას ღებულობდა პრემიერ ბეტლენის ცოლისძმა, ყოფილი პრემიერი—ტელეკი.

## თეთრგვარდიელთა განზრახვა.

სამხრეთ-სლავიის ცენტრალურ პროფსაბჭოს გაზეთი „რადნიკი“ აცხადებს, რომ სამხრეთ-სლავიაში მყოფ ვრანგელის მომხრეებს განზრახული აქვთ მოაწყონ საზღვარგარედ სსრკ-ს რამოდენიმე წარმომადგენლის მკვლელობა.

## საერთაშორისო რადიო-კონფერენცია

25 მარტს ჟენევაში (შვეიცარიაში) გაიხსნება საერთაშორისო რადიო-კონფერენცია. კონფერენციაზე მიწვეული იყო საბჭოთა კავშირი, მაგრამ რადიო-გადაცემის საზოგადოებამ გააგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„ჩვენს საზოგადოებას არ შეუძლია გააგზავნოს ჟენევაში თავისი წარმომადგენლები, ვინაიდან საბჭოთა კავშირს ბოიკოტი *) აქვს გამოცხადებული შვეიცარიის მიმართ“.

*) ეს ბოიკოტი გამოწვეულია შემდეგი გარემოებით: შვეიცარიაში მოკლულ იქნა საბჭოთა წარმომადგენელი ვოროვსკი, რომლის მკვლელი შვეიცარიის სასამართლომ გაამართლა.

# საქართველოში

### სამელიორაციო ამხანაგობა

სოფ. შემოქმედში, უჩხობსა და ნაგომარში მოეწყო სამელიორაციო (საარხო) ამხანაგობა. ამხანაგობა ახლო კვირეებში შეუდგება სარწყავ არხების გაყვანას, რომლებიც იმავ დროს მოსპობენ გაზაფხულის წყალდიდობის მავნებლობას.

### მოითხოვენ სამეურნეო იარაღებს

ნოქალაქევის საკრედიტო ამხანაგობაში დიდი მოთხოვნილებებია შემოდის სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე.

უსახსრობის გამო, გამგეობას არ აქვს საშუალება დააკმაყოფილოს გლეხთა მოთხოვნილებები.

# საბჭოთა ხელახალი არჩევნები საქართველოში.

(შედეგები)

უკვე თვე სრულდება რაც არჩევნები მიმდინარეობს. მეტი წილი მაზრებიდან შინ. ს. ს. კომისარიატში სისტემატიურად იგზავნება სათანადო ცნობები ჩატარებულ არჩევნების შედეგების შესახებ.

აქვე მოგვყავს ცნობები მაზრობრივი ჯამების სახით.

**გორის მაზრაში**—33 თემიდან არჩევნები დამთავრდა 5 თემში; სულ არჩეულია საბჭოს 348 წევრი; ამათში 38—ქალი, კომუნისტი—59, კანდიდატი—31, ახ. ლ. კ. კ. წევრი—47 და უპარტიო—211.

**დუშეთის მაზრაში**—20 თემიდან არჩევნები დამთავრდა 15 თემში. სულ არჩეულია საბჭოს 544 წევრი; ამათში—27—ქალი, კომუნისტი—55, კანდიდატი—56, ახ. ლ. კ. კ. წევრი—50 და უპარტიო—333.

**თელავის მაზრაში**—19 თემიდან არჩევნები დამთავრდა 14 თემში; სულ არჩეულია საბჭოს 664 წევრი; ამათში—95 ქალი; კომუნისტი—52, კანდიდატი—38, ახ. ლ. კ. კ. წევრი—24 და უპარტიო—220.

**სიღნაღის მაზრაში**—32 თემიდან არჩევნები დამთავრდა 7 თემში; სულ არჩეულია საბჭოს 342 წევრი; ამათში—38 ქალი; კომუნისტი—89, კანდიდატი—9, ახ. ლ. კ. კ. წევრი 24 და უპარტიო 220.

**ზემო სვანეთის მაზრაში**—15 თემიდან არჩევნები დამთავრდა 5 თემში; სულ არჩეულია საბჭოს 45 წევრი; ამათში—3 ქალი, კომუნისტი—7, კანდიდატი—6, ახ. ლ. კ. კ. წევრი—4 და უპარტიო—28.

**ზუგდიდის მაზრაში**—49 თემიდან არჩევნები დამთავრდა 17 თემში. არჩეულია საბჭოს 404 წევრი; ამათში—50 ქალი, კომუნისტი—68, კანდიდატი—41, ახ. ლ. კ. კ. წევრი—26 და უპარტიო—269.

**ლეჩხუმის მაზრაში**—15 თემიდან არჩევნები დამთავრდა 8 თემში. არჩეულია—საბჭოს 265 წევრი; ამათში—18 ქალი, კომუნისტი—69, კანდიდატი—22, ახ. ლ. კ. კ. წევრი—26 და უპარტიო—148.

**სენაკის მაზრაში**—39 თემიდან არჩევნები დამთავრდა 4 თემში; სულ არჩეულია საბჭოს 74 წევრი; ამათში—6 ქალი; კომუნისტი—22, კანდიდატი—7, ახ. ლ. კ. კ. წევრი—6 და უპარტიო—39.

**ქუთაისის მაზრაში**—47 თემიდან არჩევნები დამთავრდა 27 თემში; სულ არჩეულია საბჭოს 1.288 წევრი;—ამათში—57 ქალი, კომუნისტი—62, კანდიდატი—70, ახ. ლ. კ. კ. წევრი—38 და უპარტიო—1.118.

**შორაპნის მაზრაში**—36 თემიდან არჩევნები დამთავრდა 9 თემში; სულ არჩეულია საბჭოს 432 წევრი; ამათში—43 ქალი; კომუნისტი—57, კანდიდატი—16, ახ. ლ. კ. კ. წევრი—30 და უპარტიო—329.

**სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში**—14 თემიდან არჩევნები დამთავრდა 6 თემში. სულ არჩეულია საბჭოს 396 წევრი; ამათში—43 ქალი; კომუნისტი—96, კანდიდატი—34, ახ. ლ. კ. კ. წევრი—33 და უპარტიო—235.

# სამხედრო საქმე

## ძიება არმიის თვალი და ყურია.

### როგორ უნდა შეადგინო დასმენა.

ძიების დასმენა და ცნობების მიწოდება უფროსისადმი სწარმოებს რუქის მიხედვით; ხოლო რუქა აუცილებლად მოწყობილი, დეყენებული უნდა იქნას ადგილ-მდებარეობაზე. დასმენის შედგენის დაწყება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა რუქაზე მონახავ იმ ადგილს, სადაც იმყოფები შენ და მოპირდაპირე.

დასმენა აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგს: ვის და როგორ უნდა გაუგზავნო დასმენა, ადგილი, სადაც შენ სდგეხარ, დასმენის შედგენის დრო (საათი, წუთი), რა იცი მტრის შესახებ (სად იმყოფება ის, რას აკეთებს, როგორი ძალები ჰყავს). შენი და მოპირდაპირის სამყოფი ადგილი უნდა აღნიშნო ისე, რომ უფროსმა შესძლოს ამ ადგილების მოძებნა რუქაზე.

ავიღოთ რამოდენიმე მაგალითი და გავარჩიოთ: „მივედი თუ არა ერთ სოფელთან, მე ამიტეხეს თოფ-ტყვიამფრქვევით სროლა მეზობელ სოფლებიდან და ჰალიდან. ტყის ნაპირიდან, რომელიც ჩემს წინ იმყოფება, იწყება მტრის მავთულ ხლართი. სოფელი, რომელსაც მე მივადექ, არაა მტრის მიერ დაკავებული მე დავიხიე ტყეში და განვაგრძობ შეტევას.

მზვერავთა უფროსი პაპიაშვილი."

როგორაა შედგენილი ეს დასმენა და შეუძლია თუ არა მის მიმღებ უფროსს გაიგოს სად იმყოფება მისი მზვერავები და მოპირდაპირე?

რასაკვირველია არა, დასმენაში არაა აღნიშნული, სად იმყოფება მზვერავი და სად მოპირდაპირე? არა სოფლის სახელი აღნიშნული. ხოლო მძიებელს რომ რუქით ესარგებლა, ის სოფლებს დაასახელებდა ისე, როგორც რუქაში იქნებოდა აღნიშნული. ეხლა განვიხილოთ მეორე დასმენა: „მივედი თუ არა სოფელ სახუნდართან, მე ამიტეხეს თოფის სროლა სოფ. ბერსალოსა და მოდი-ნახეს მხრიდან რომელიც დაშორებულია ჩემგან 2 ვერსით, ხოლო ჰალიდან მესროდენ ტყვიამფრქვევით. (აქ სოფლები პირობითაა აღებული როგორც მოსაზღვრე სოფლები) ბერსალოს განაპირად გაკეთებულია მტრის მავთულხლართები. მე ვრჩები სახუნდარში და ხეივანიდან განვაგრძობ თვალთვალს. სოფელ მოდი-ნახეში მტერი არაა. დანართი: ცნობათა ბარათი.

მზვერავთა უფროსი პაპიაშვილი."

ამ მეორე დასმენაში ნაჩვენებია ყველაფერი—მძიებლის სამყოფი ადგილი, სოფლების სახელები და სხვა.

ამასთან დართულია ცნობათა ბარათი, შედგენილი თვით მძიებლის მიერ. აქედან უფროსი ადვილად გაიგებს სად იმყოფება მისი მძიებელი და სად მოპირდაპირე. ასეთი დასმენით მძიებელი ბევრად დაეხმარება თავის მეთაურს და აასრულებს სავსებით მასზე დაკისრებულ ამოცანას.

ი. ბ.

## შენიშვნა

### როგორ უნდა შეეგუო ადგილ-მდებარეობას

თვითეულ მსროლელს კარგად უნდა ესმოდეს, თუ რა სამსახურის გაწევა შეუძლია მოუტანოს მას ადგილობრივ საგნებმა. ეს საგნები გადარბენის დროს ისე უნდა გამოიყენოს მსროლელმა, რომ მტრისთვის ნაკლებ შესამჩნევი დარჩეს. რამდენად კარგად შეუძლია დაჰფაროს მსროლელი ადგილობრივ საგნებმა, ეს დამოკიდებულია ბევრი მიზეზისაგან: 1) თუ როგორაა ეს საგნები ადგილზე მოთავსებული, 2) თუ როგორაა მოთავსებული მოპირდაპირის მოთვალთვალე, 3) თუ როგორ მოძრაობს მსროლელი (ამდგარი, დახრილი თუ ხოხვით); თუ რა სახით უნდა გადარბოდეს მსროლელი, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სიდიდისაა ადგილობრივი საგნები. მაგ. თუ რომ მიმხოხავ მსროლელის დასაფარავად საკმარისია პატარა ბორცვი, ან ბუჩქი, ეს არ ითქმის ამდგარ გადამრბენ მეომარზე.

ცალკე საგნებს გარდა საფარად შეიძლება გამოყენებულ იქნას მთელი მოედნები: ბოსტნები, ნათესი მინდვრები, მაღალი ბალახი, ბუჩქნარი და სხვა. ასეთი ადგილ-მდებარეობა შეიძლება უფრო ფართოდ იქნას გამოყენებული და მას შეუძლია სრულიად დაჰფაროს მეომარი მტრის თვალისაგან. მაგრამ ამასთან აუცილებლად საჭიროა მხედველობაში მივიღოთ შემდეგი: ყოველი მოძრაობა საშუალებას აძლევს მტრის მოთვალთვალეს შეამჩნიოს მსროლელი; ამიტომ ს[…] და სხვა საგნებს შორის მოძრაობის დროს უნდა ერიდოს ისეთ საგნებზე მოფარებას, რომლებიც საიმედოდ ვერ დაგფარავენ. ამასთან შორ მანძილზე მოძრაობა ნაკლებ შესამჩნევია, ვიდრე ახლო მანძილზე. ამიტომ მსროლელი, რამდენადაც უახლოვდება მოპირდაპირეს, უნდა სცდილობდეს დიდი სიფრთხილე დაიცვას მოძრაობაში.

ყველა ზემო ჩამოთვლილ შემთხვევებში აუცილებლად უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ, თუმცალა ზოგიერთი საგანი ადვილად ჰფარავს მსროლელს მტრის თვალისაგან, მაგრამ იმავ დროს ის სუსტი საფარია ტყვიის წინააღმდეგ; ამიტომ ასეთ საგნებს შორის მოძრაობის დროს მსროლელი უნდა სცდილობდეს კარგად შეეგუოს მათ და დაიცვას შენიღბვის დისციპლინის ყველა წესები, რათა არ გაამჟღავნოს თავი და უმსხვერპლოდ მიაღწიოს მიზანს.

ი. ბ.

**წერილების! მეცადინეობა უკვე დაწყებულია. დაიჭირეთ კავშირი თქვენს გაზეთთან და მოგვაწოდეთ კორესპონდენციები თქვენი ყოფა-ცხოვრებიდან.**

# ხანგრძლივ შვებულებაში და თადარიგში მყოფ მეუფროსეთა შემადგენლობის ხელ-ახალი აღრიცხვა.

უკანასკნელმა იმპერიალისტურმა ომმა ნათლად დაგვიმტკიცა, რომ ეხლანდელ პირობებში ომს აწარმოებს არა ძირედი (კადრის) არმია, რომელიც მუდამ არის თოფ ქვეშ, არამედ ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ მობილიზაციით გამოწვეულნი შეიარაღებულნი ხალხი.

იმავე ომის დროს აღმოჩნდა, რომ ძირედი არმიას ომის პირველ ხანებში შეადგენდა არა უმეტეს 25 პროც. და შემდეგში კი ომს აწარმოებდა თადარიგში ან მარქაფში მყოფნი ჯარის კაცნი და მათ ხელმძღვანელობდენ ასეთივე დარგის ოფიცრები და ომიანობის დროს გამოშვებულნი პრაპორჩიკები.

მოსალოდნელ ომების დროს კი, როდესაც ზედმიწევნით და ჩქარი ნაბიჯით ვითარდება სამხედრო ტეხნიკა (ავიაცია, ქიმია და სხვა) და როდესაც ძნელი იქნება გამორკვევა იმისა, თუ სად თავდება ბრძოლის ველი და იწყება მშვიდობიანი ზონა,—ჩვენი სამობილიზაციო თადარიგის მომზადების საქმეს ენიჭება უაღრესი მნიშვნელობა. უფრო რთული და ძნელი ამ საქმეში არის არმიის ხელმძღვანელ აპარატის მომზადება—მისი მეუფროსეთა შემადგენლობის.

აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და აუცილებელი საჭიროა მეუფროსეთა შემადგენლობის აღრიცხვის სწორ ნიადაგზე დაყენება.

წითელ არმიაში ამ ჟამად მსახურ მეუფროსეთა შემადგენლობის სწორი აღრიცხვა უკვე გატარებულია ცხოვრებაში, ეხლა საჭიროა ხანგრძლივ შვებულებაში და თადარიგში მყოფ მეუფროსეთა შემადგენლობის აღრიცხვის საქმის მოგვარება იმ მიზნით, რომ გამოირკვეს სამხედრო ვალდებულ მეუფროსეთა შემადგენლობის საერთო რიცხვი და მათი უნარიანობა, რითაც გვეძლევა საშუალება წინდაწინ ვიცოდეთ რომელი მათგანი გამოადგება სამხედრო უწყებას ომიანობის დროს და სად, რომელ თანამდებობაზე.

ზემოაღნიშნულის ცხოვრებაში გასატარებლად მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიისადმი გამოცემულია ბრძანება, რომლის ძალით ა.წ. მარტის პირველ რიცხვებიდან (თანახმად სათანადო სამხედრო კომისარიატის განცხადებისა) საბჭოთა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იწყება აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მეუფროსეთა შემადგენლობის (მეთაურთა, ადმინისტრატიული, პოლიტიკურ, მედიკურ და ვეტერინარულ) ხელახალი აღრიცხვა, თუ ისინი არ მსახურობენ ამ ჟამად ნამდვილ სამხედრო სამსახურში.

აღრიცხვაზე უნდა გამოცხადდენ ტერნაწილებზე მიწერილნი მეუფროსეთა შემადგენლობაც, რომლებიც თანახმად არსებულ კანონისა ითვლებიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში და იმყოფებიან ეხლა ხანგრძლივ შვებულებაში. ხელახალი მიწერის მიზეზი არის შემდეგი: 1. შარშანდელ მიწერის შემდეგ გამოიცვალა ტერნაწილების დისლოკაცია და მაშასადამე ზოგან არ არის დაცული ამ ნაწილების შევსების ტერიტორიალური პრინციპები, 2. შარშანდელი მიწერა სწარმოებდა მისაწერის პირადი გამოძახებით კი არა, როგორც ეხლა, არამედ ნამსახურების სიების მიხედვით, რის გამო დაშვებული იყო ბევრი შეცდომები და მიწერილთა მნიშვნელოვანი რიცხვი შეუფერებელნი შეიქნენ დანიშნულ თანამდებობისთვის და სხვა.

ხელახალ აღრიცხვასთან ერთად მოხდება სამხედრო ვალდებულთა ცვალებად შემადგენლობაში ჩარიცხვაც.

ამ კამპანიის ჩასატარებლად ყველა სამხედრო კომისარიატებთან არსდება სათანადო კომისიები, რომლების შემადგენლობაში შევლენ სამხედრო უწყების ჯეროვანი კვალიფიკაციის წარმომადგენლები და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა დაწესებულებების პასუხისმგებელნი პირნი. ხელახლა აღსარიცხავნი უნდა გამოცხადდენ უახლოეს სამხედრო კომისარიატში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სამხედრო საარიცხვო კომისია გაარჩევს რა სამხედრო ვალდებულის ნამსახურობის ნუსხას და სხვა საბუთებს, პირადათ გამოკითხავს მას საჭირო ცნობებს, შეამოწმებს საექიმო კომისიაში თუ ეს საჭიროა,—გამოიტანს საატესტაციო დადგენილებას, რის მიხედვით გადასწყვეტს:

1. რომელ შემადგენლობას ეკუთვნის ის სამსახურის ხასიათის და მომზადების მიხედვით—მეთაურთა, ადმინისტრატიულ, პოლიტიკურ, მედიკურ თუ ვეტერინარულს.

2. რომელ ჯგუფს ეკუთვნის თანამდებობის მიხედვით—საშუალო, უფროს თუ უმაღლეს და რომელ კატეგორიას.

3. სამსახურის რომელ დარგს ეკუთვნის—ქვეითა, ცხენოსანთა, არტილერია და სხვა.

4. აღრიცხვის რომელ ხარისხს ეკუთვნის ხნოვანობის და უნარიანობის მიხედვით:

ა) ხანგრძლივი შვებულება
ბ) 1-ლი ხარისხის თადარიგი
გ) მე-2 " "
დ) მე-3 " "

ერთი სიტყვით კომისიის დადგენილებით ესა თუ ის სამხედრო ვალდებული მიემაგრება ამა თუ იმ თანამდებობას და მაშასადამე მობილიზაციის თუ შეკრების დროს გამოცხადებისას დაინიშნება ამ მიჩინებულ თანამდებობაზე.

ტერნაწილებზე მიწერილნი კი ჩაირიცხებიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში ამა თუ იმ ერთეულში და განსაზღვრულ თანამდებობაზე.

ასეთ ზომას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი კავშირის თავდაცვის საქმეში: ერთის მხრით არმიის აპარატს აქვს საშუალება აღრიცხოს სახეზე მყოფნი და ომში გამოსადეგნი შემადგენლობა და მეორე მხრით კი ხანგამოშვებითი და მოკლევადიანი გამოწვევით, სათანადოთ მოამზადოს, გაამეორებიოს სამსახური, შეასწავლოს ახალი ტეხნიკა და სამხედრო საქმე და გაწვრთვნას ეს შემადგენლობა ისე, რომ გამოსადეგნი შეიქნან მომავალში საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეში.

ზედმეტია იმის მტკიცება რა დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველივე სერიოზულ საქმეში სტატისტიკურ გამოკვლევებს და კერძოთ სამხედრო საქმეში კი სამხედრო ძალების სწორ აღრიცხვას; ჩვენ სამწუხაროთ ასეთი დღემდე არ გვქონია.

მეუფროსეთა შემადგენლობის სწორი აღრიცხვა არის ერთად-ერთი და მნიშვნელოვანი მიღწევა სამხედრო მშენებლობაში, რის გამო მეუფროსეთა შემადგენლობამ ვისაც ეხება ხელახალი აღრიცხვა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საქმეს.

ვიმედოვნებთ, რომ ყოველივე შეგნებული და პატიოსანი მოქალაქე—სამხედრო ვალდებული ღირსეულათ შეასრულებს თავის მოვალეობას მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვის საქმეში.

ი. ასათიანი.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## ვიახლოვებთ უპარტიო წითელ არმიელებს.

ცხენ. ლეგ. 3-მე უჯრედი.

ამას წინად მომხდარ 3-მე უჯრედის დახურულ კრებაზე დასმული იყო საკითხი 1903 წელში დაბადებულ წითელ არმიელების უჯრედისადმი დაახლოების შესახებ მათი ყოფა-ცხოვრების შესწავლის საშუალებით. არმიის პოლიტსამმართველოს ცირკულიარის თანახმად ეს საკითხი დიდი ყურადღებით იყო მოსმენილი და გამომუშავდა წესები თუ როგორ უნდა ვაწარმოოთ ასეთი მუშაობა.

საერთოდ ჩვენი უჯრედის საქმიანობა ამ ბოლო ხანებში მაინც ძლიერ გამოცოცხლდა. სისტემატიურად იწვევა უჯრედის კრებები; უმთავრესი ყურადღება კი ექცევა ღია კრებების მოწვევის საკითხს, რადგან ასეთი საშუალებით უფრო ღრმად ვიჭრებით უპარტიოთა შორის და ვიზიდავთ, ვაინტერესებთ ჩვენი საქმიანობით.

უჯრედი ყურადღებით ეკიდება აგრეთვე ლენინის კუთხეებში ხმამაღალი კითხვისა და საუბრების მოწყობის საქმეს. ამისათვის გამოყოფილი ყავს შესაფერად აქტიური პარტამხანაგები.

სამხკორი სინათლე.

## მოხსენება ახკომკავშირზე.

ქ. ახალქალაქის წვევამდელთა წერტი.

ამ რამოდენიმე დღის წინად შესდგა აღნიშნულ წერტის წვევამდელთა გაერთიანებული კრება, რომელზედაც ვრცელი მოხსენება იქნა წაკითხული კომკავშირის შესახებ. განსაკუთრებით დაწვრილებით იქნა აღნიშნული თუ როგორ როლს თამაშობს კავშირი ჩვენს წითელ ჯარში, მის დამსახურებას რუსეთში სამოქალაქო ომების დროს და უკანასკნელად იმას თუ რა დიდ საქმეს აკეთებს ლენინურ ახალგაზრდობის კავშირი სოფლად. კრებაზე დამსწრეები გაეცვნენ აგრეთვე სტატისტიკურ ცნობებს კავშირის რიცხობრივად ზრდის შესახებ 1917 წლიდან დღევანდლამდე. მოხსენება საერთოდ შინაარსიანი იყო და დიდათ დააკმაყოფილა წვევამდელები.

იყო მრავალი შეკითხვები, სხვათა შორის დისციპლინაზედაც. ამ უკანასკნელის შესახებ შესაფერი ახსნა-განმარტება იქნა მიცემული.

სამხკორი ა. იმერლიშვილი.

## სამაგალითო წითელ-არმიელები.

1-ლი ლეგ. 4-ხე ასეული.

ასეულის წითელ-არმიელები გულმოდგინეთ ეკიდებიან სამხედრო და პოლიტიკურ მეცადინეობას. ვერ ნახავთ ერთ წითელ-არმიელს, რომელიც უბრალოდ კარგავდეს თავისუფალ საათებს. სიამოვნებით ყველა ამხანაგები იკრიბებიან ლენინის კუთხეში, აწარმოებენ ხმამაღალ კითხვებს, როგორც გაზეთებიდან ისე, წიგნებიდანაც. იწერენ გაზეთებს კერძოთ და გულმოდგინეთ კითხულობენ. არ ყოფილა ასეულში დისციპლინის დარღვევის არც ერთი შემთხვევა.

სამხკორი ბ. თათულოვი.

## ცოტა რამ ლეგ. კედლის გაზეთის ლიკვიდაციის შესახებ.*)

ჩვენს გაზეთ „წითელ არმიელის" ფურცელზე საკმაოთ იწერება ლეგ. კედლის გაზეთის ლიკვიდაციის შესახებ. აღნიშნული საკითხი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია ჩვენი ნაწილის ცხოვრებისათვის. ამხანაგ იმნაიშვილმა ეს საკითხი კარგ დროს წამოაყენა, მანამდის მისი წამოყენებანაადრევი იქნებოდა, ვინაიდან ჩვენი ნაწილები უკვე ახლად გადავიდნენ ასეულის კედლის გაზეთების სისტემაზე. დღეს ჩვენ წინ დასმულია საკითხი, არის თუ არა საჭირო ლეგ. კედლის გაზეთი—მე, ჩემის აზრით ვამბობ როგორც ერთ-ერთი უშუალო ხელმძღვანელი ლეგ. კედლის გაზეთისა, არ არის საჭირო და არც არავითარი ნაყოფი მას არ მოაქვს ნაწილისათვის, ამის მიზეზი ის არის, რომ ასეულებში უკვე გამოდის ისეთივე კედლის გაზეთი, როგორც ლეგიონის მაშტაბით. ყველა ასეულში წითელი მოლაშქრე დაინტერესებულია წერილი მიაწოდოს თავის ასეულის კედლის გაზეთს. ლეგიონის გაზეთი კი ამ შემთხვევაში არავითარ როლს არ თამაშობს, ვინაიდან მას უკვე ჩამოშორდა აქტივი სამხკორებისა. ლეგ. გაზეთი უნდა მოისპოს, ეს აუცილებელია, მხოლოდ მთელი მუშაობის ცენტრი უნდა იქნეს გადატანილი ასეულის კედლის გაზეთის გაუმჯობესებაზე.

ამხანაგებს ვეთანხმები სამივეს ლეგ. კედლის გაზეთის ლიკვიდაციაზე, მხოლოდ ერთში ჩემი შეხედულება სხვანაირია—და ეს უფრო მიზანშეწონილი იქნება ჩემის აზრით. ჩვენ ვიცით, რომ ასეულის კედლის გაზეთის გამოცემას სათანადო ტეხნიკურ დახმარებას უწევს ნაწილის კლუბი. აგრეთვე უშუალო ხელმძღვანელებათ ითვლებიან ასეულის კომუჯრედი და ასეულის რედკოლეგია, ეს სამი ხელმძღვანელი ორგანოები. საკმარისია, ჩემის აზრით, ზედმეტი იქნება კიდევ სამეულის დაარსება ლეგ. მაშტაბით. ამის მაგიერობა შეუძლია იკისროს ნაწილის სამხკორთა წრემ. ეს უფრო მეტი ნაყოფიერი იქნება.

ა. ჭკადუა.

*) დისკუსიის სახით.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## ამხ. ვოროშილოვი ცალკე ცხენოსან ესკადრონის საპატიო წითელ არმიელი.

ამ რამოდენიმე დღის წინად შესდგა ქართ. ცალკე ცხენოსან ესკადრონის წითელ არმიელთა და უფ-პოლიტშემადგენლობის გაერთიანებული კრება. მოხსენებით გამოვიდა ესკადრონის სამხედრო კომისარი ამხ. სტურუა ესკადრონის საპატიო წითელ-არმიელების არჩევის შესახებ. კრებამ ერთხმად მოიწონა ამხანაგის აზრი და საპატიო წითელ არმიელად დაასახელეს საკავშირო რევსამხსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვოროშილოვი, რომელსაც მხურვალე ტაშით შეეგებენ დამსწრე ამხანაგები.



ესკადრონი ფიცს სდებს, რომ შესძლებს ღირსეული ნაწილი იქნეს წითელი არმიისა.

გაუმარჯოს ამხ. ვოროშილოვს!

## მოვაწყვეთ კვირაობა.

მე-6 ლეგ. ქვ- მაჩხაანის წერტი.

აღნიშნული წერტის მახლობლად არის სოფლის თეატრი, რომლის გარშემო ტბები და ტალახი იდგა. შეუძლებელი იყო იქ გავლა. წერტის შემადგენლობამ გადასწყვიტა ამოეშრო ეს ტბები და მოეკეთა გზები. დავანგრიეთ მახლობლად არსებული ეკლესიის ნანგრევი და ორას ურმამდე ქვა და კირი ჩავყარეთ ტბებში და გზებში.

კვირა დღეობით ქვ. მაჩხაანში იმართება ბაზრობა. ამ დღესაც აუარება ხალხმა მოიყარა თავი ადგილობრივად და ჩვენს მუშაობას რომ უყურებდენ გაკვირვებაში მოდიოდენ. ხშირად შეჩერდებოდენ შორი სოფლიდან მომავალი გლეხები, გვაჩერებდნენ და გვეკითხებოდენ, თუ ვინ ვართ ჩვენ და რად ვეწევით ასეთ მუშაობას, რაზედაც ისინი ღებულობდენ სათანადო ახსნა-განმარტებას.

მცხოვრებლებმა და ადგილობრივი ხელისუფლებამ დიდი მადლობა გადაგვიხადა ასეთი საქმის გაკეთებისათვის.

ჩვენი ასეულის შემადგენლობა ცდილობს რაც შეიძლება მეტი ავტორიტეტი და ნდობა დაიმსახუროს ადგილობრივ გლეხებში.

სამხკორი მეფარიშვილი.

## სამზადისი დღესასწაულისათვის

მე-2 საკავშირო ასეული.

საბჭოთა საქართველოს 5-თი წლის თავის დღესასწაულის ჩასატარებლად ასეულში აღრიანად შევუდექით სამზადისს. გამომუშავებული იქნა სადღესასწაულო გეგმა და აირჩა კომისია; ასეულის ყველა წრეები ამუშავდენ. საზეიმო დღეს მათ გამოამზეურეს თავიანთი მიღწევები.

24 თებერვალს ასეულის სარედაქციო კოლეგიამ გამოუშვა სადღესასწაულო კედლის გაზეთი, რომელშიდაც წითელ არმიელებიც ღებულობენ მონაწილეობას. ბიბლიოთეკამ გამოაფინა შესაფერი ლიტერატურა. სადამოთი გვესტუმრენ ფოსტა-ტელეგრაფის მუშა მოსამსახურენი. გაიმართა საზეიმო სხდომა, რომლის დროს მკაფიოდ აღინიშნა დღესასწაულის მნიშვნელობა.

ბოლოს გაიმართა წარმოდგენა რის შემდეგ მომღერალთა გუნდმა შეასრულა მრავალი რევოლიუციონური სიმღერები.

სამხკორი ვ. გორათელი.

## ჩვენი სამხედრო მშენებლობა.

3-მე ლეგიონი.

19 თებერვალს ლეგიონის კლუბში შესდგა ნაწილის გაერთიანებული კრება. გაკეთებული იქნა მოხსენება დღევანდელ და მომავალ სამხედრო იარაღების და წყობის შესახებ. მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია მსმენელებში. გაიმართა მეტად საყურადღებო კამათი. სულ ჩაეწერა სიტყვისათვის 25-მდე ამხანაგები.

ბევრი რამ ითქვა ახალი და საყურადღებო. სჩანს ჩვენი მეთაურები გულმოდგინეთ ადევნებენ თვალყურს სამხედრო ტეხნიკის მიღწევებს და მისი მოხმარების შესაძლებლობის საქმეს.

შემდეგი მოხსენება გაკეთებული იქნა სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების მუშაობაზე. საზოგადოებაში ხშირად კეთდება მოხსენებები სამხედრო საქმეზე. კარგად მიმდინარეობს აგრეთვე პოლიტხელების გასამხედროების საქმე. ყოველ დღე ვიკრიბებით სამეცადინოთ. ხელმძღვანელი შესაფერად მომზადებული გვყავს. მალე შესაფერი სამხედრო ცოდნით მოვევლინებით ჩვენს ნაწილს.

სამხკორი ლენ—დრო.

## როგორ უკავშირდებიან პიონერები წითელ-არმიელებს.

პიონერები 1-ლ ლეგიონში.

21 თებერვალს ლეგიონს ესტუმრენ ლეგიონისა და ვოროშილოვის სახელობის სკოლების სხვა და სხვა პიონერთა კოლექტივები. მათ დაწვრილებით დაათვალიერეს ლეგიონის ყველა ასეულები და ლენინის კუთხეები. წითელ არმიელები გვერდში დაყობოდენ მათ და აცნობდენ ყველა საჭირო საკითხებს. ინახულეს აგრეთვე ლეგიონის ბიბლიოთეკა, საიდანაც ბიბგამგის თანხმობით მათ წაიღეს მრავალი ლიტერატურა საკითხავად. ბიბგამგე დაჰპირდათ, რომ შემდეგშიც მიაწოდებს მათ წიგნებს.

დასასრულ გაიმართა მიტინგი, რომელზედაც სიტყვით გამოვიდა ლეგიონის კლუბის უფროსი. მან აუხსნა ახალგაზრდებს თუ რა უპირატესობა აქვს და რით განსხვავდება ახალი ყაზარმა და წითელი ჯარი ძველი ჯარისაგან. ილაპარაკა ერთ-ერთ პიონერმაც. მან გვაცნობა, რომ მათი მოსვლის მიზანი იყო წითელი არმიის 8 წლის თავის დღისათვის ნათელი წარმოდგენა ჰქონოდათ წითელ ჯარზე, რაც მათ სისრულეში მოიყვანეს.

პიონერს მხურვალე ტაშით შეეგებენ წითელ არმიელები.

სამხკორი ა. დეისაძე.

## ჩვენი საქმიანობიდან.

მე-2 საკავშირო ასეული.

ჩვენს ასეულში დაარსებულია უმცროს მეთაურთა სკოლა, სადაც მოვლინებული არიან მე-2 დივიზიაში შემავალი ნაწილების წითელარმიელები და უფშემადგენლობა.

საკავშირო საქმეს როგორც თვით ასეულში, ისე სკოლაში უდიდესი ყურადღება ექცევა. ყველა გულმოდგინეთ ეწაფებიან მის შესწავლას. მეთაურები დიდ მუყაითობას იჩენენ თვისი მოვალეობის შესასრულებლად.

ყურადღების ცენტში სდგას აგრეთვე პოლიტიკურად მომზადების საქმე. აქაც საკმაო ენერგიულობას იჩენენ, როგორც ხელმძღვანელები, ისე მსმენელები.

მეთაურებსა და წითელარმიელებს შორის ძლიერ კარგი განწყობილება არსებობს. სკოლის გარეშე მუშაობაც შესაფერ სიმაღლეზე სდგას ასეულში. მოწყობილია ლენინის კუთხეები. დაარსებულია კულტ-საგანმანათლებლო წრეები: პოლიტიკური, ლიტერატურული, სპორტიული, სამხედრო, სამხკორთა წრეები და სხვა, რომლებშიდაც ჩაბმულია ასეულის მთელი შემადგენლობა. მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს მიცემული პროგრამის მიხედვით.

კვების საქმე კარგად არის დაწყებული. ჰიგიენურ პირობებსაც დიდი ყურადღება ექცევა. ხშირად ტარდება სანიტ-საათები.

კარგი იქნება, რომ მოაწყობდენ ექსკურსიებს სხვა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებსა და მუზეუმში.

წ. არმ. დ. მათიაშვილი.

## ჩვენი სამხედრო კუთხე.

5-თე ლეგ. 5-თე ასეული.

ხუთი თვეა მას შემდეგ, რაც ასეულმა დაარსა კორცხელის თემში სამხედრო კუთხე. ადგილობრივი ხელისუფლება „მთელი ამხნის განმავლობაში შეძლებისდაგვარად ხელს გვიწყობს კუთხისთვის საჭირო ინვენტარისა და იარაღების შეძენაში და აგრეთვე კუთხის ავტორიტეტის აწევაში. შეძენილია რამოდენიმე ათეული ცალი ბროშიურები, რომელიც ჯერ-ჯერობით აკმაყოფილებს მკითხველებს. სისტემატიურად მოდის კუთხეში გაზეთ „წითელ არმიელის" ორი ეკზემპლიარი.

ყოველთკვიურად, კუთხეში იმართება ცვალებადთა კრებები, რომელსაც ესწრებიან კერძო მოქალაქენიც. ყოველ კვირაობით სწარმოებს გაზეთ „წითელ არმიელის" ხმამაღალი კითხვა. განზრახულია წარმოებული მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერება.

სამხკორი ქ—ქალი.

## საშეფო სოფელში.

ამ რამოდენიმე ხნის წინად 2-ე ქართ. დივიზიის შტაბსა და პოლიტგანყოფილებაში დაარსდა საშეფო საზოგადოება, რომელშიდაც ჩაწერილია წევრებად ხსენებულ დაწესებულებების თანამშრომელთა უმრავლესობა. ჯერ-ჯერობით საზოგადოებაში ითვლება 70 წევრზე მეტი. საზოგადოებას შეფობის ქვეშ ყავს აყვანილი თბილისის ახლოს მდებარე სოფ. წავკისი, რომელსაც უწევს შესაფერ დახმარებას.

საბჭოთა საქართველოს 5-ი წლის თავის დღესასწაულისათვის საზოგადოებამ გაგზავნა აღნიშნულ სოფელში თავის წარმომადგენელი ჟურნალ-გაზეთებით და მოხსენებების ჩასატარებლად დღის მნიშვნელობაზე.

რადგან სოფლის მცხოვრებლები მახლობელ სოფელში იყვენ მიწვეული საბჭოთა არჩევნების მოსახდენად, ამხანაგებმა ვერ შესძლეს ფართო მიტინგის მოწვევა. 30 გლეხამდე მაინც მოიყარეს თავი, რომლებსაც დაწვრილებით გააცვნეს ამხანაგებმა თავისი მისვლის მიზეზი. ჩაატარეს საუბარი დღესასწაულის მნიშვნელობაზე, შეფობის შესახებ და თან გადასცეს გლეხებს, რომ ისინი დღეიდან ხშირად ინახულებენ მათ და გაუწევენ საჭირო დახმარებას.

გლეხები დიდი სიხარულით შეეგებენ ამხანაგებს და გამოსთქვეს საერთოდ თავისი კმაყოფილება არსებული წესწყობილებით, მხოლოდ სთხოვეს ამხანაგებს, რომ დაეხმარონ მათ იმ ნატყევარი მიწების უკან დაბრუნებაში, რომლის დამუშავების უფლებას არ აძლევენ მათ.

დიდათ კმაყოფილი დარჩენ გლეხები ამხანაგებისაგან მოტანილ ჟურნალ-გაზეთებით და ლიტერატურით.

საზოგადოებამ გამოუწერა სოფელს შემდეგი ჟურნალ-გაზეთები სამი თვით: „კომუნისტი" 2 ცალი, „მუშა" 2 ცალი; „ახალი სოფელი" 5 ც., „წითელ არმიელი" 3., „ახალგაზრდა კომუნისტი" 2 ც., ჟურნ. „სოფლის კომუნისტი" 2 ც. და ჟურნ. „კომუნისტის თანამგზავრი" 2 ც.

საზოგადოება ყოველ ზომებს იღებს, რომ მომავალშიც კიდევ მეტი დახმარება გაუწიოს თავის საშეფო სოფელს.

ლ—ი.

## გაზ. „წით. არმ." № 33 მოთავსებულ ბიბლიოგრაფიის პასუხად.

თუ განზრახ არის დამახინჯებული „სადისციპლინო წესდების" მე-8 მუხლი და მე-10 მუხლის სათაური იმ მიზნით, რომ კაცმა რამეს კლანჭი გამოჰკრას და მეტად რაიმე და დაუსაბუთებელი დაბეჭდოს, მაშინ პასუხის ღირსადაც არ გავხდიდით, რადგან წაკითხვის მცოდნე დაბეჭდილ წესდების მე-8 და 9 გვერდზე წაიკითხავს სულ სხვა რამეს მასთან მართებულს და ამ გვარ „ბიბლიოგრაფების" მსჯავრს თვითონ გამოიტანს. მაგრამ ვფიქრობთ რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი და ამიტომ საჭიროა საჩქარო განმარტება, რომ წითელი ჯარი შეცდომაში არ შევიდეს.

მე 8 მუხლში „ამჩქარ ბელსაშუალე(ბ)ის" შემდეგ მძიმეა (,) ყველა წესდებაში, ბიბლიოგრაფიის ამონაწერში კი ის გამოშვებულია. „მოქალაქე მეომარია" დაბეჭდილი და არა „მოქალაქე-მეომარი"; (საჭიროა დეფიზი-), მე-10 მუხლში დაბეჭდილია „ა. მერიგე შემადგენლობისადმი"; ბიბლიოგრაფიის ამონაწერში კი დაბეჭდილია—„მორიგე შემადგენლობისადმი". ამას ჰქვია დოხკიხოტისავით არ არსებულ დაბრკოლებათა წარმოსახვა და მერე რიხით იერიშის მიტანა თუ ეს არ არის, მაშინ ალბათ გაზეთის კორრექტურულ შეცდომებს უნდა გადავაბრალოთ. თუ ასეთ შეცდომებზეა აშენებული „ბიბლიოგრაფიის" შინაარსი, მაშინ გაზ. „წით არმ." პატივცემულ რედაქციას ევალება შეცდომების გასწორება. მაგრამ გასწორებამდე სიფრთხილეა საჭირო ამა თუ იმ სამხედრო შინაარსისადმი ასეთი ნდობით მოკიდებისას, რადგანაც წესდება ჯარისათვის კანონია და არავის ნება არა აქვს უსაფუძვლოთ, გინდაც ერთს წამს, დასტოვოს იგი იმ შთაბეჭდილების ქვეშ, რომ მისი კანონების დაწერილობა „ხელს უშლის აზრის მკაფიოდ გაგებას") [1].

დიახ, სრული ჭეშმარიტებაა, რომ დამახინჯებული ამონაწერი წესდებიდან გაუგებარიც არის და უაზროც; მაგრამ თუ სასვენ გრამატიკულ ნიშანს დაუ ვამთ „მოქალაქე—მეომარს" ეირეს გაუკეთებთ მაშინ კი აკვიატებული აზრი ჩამოშორდება მკითხველს.

„უდაო სამხედრო ტერმინები" უკვე გვაქვს **სამხედრო-ტეხნიკურ ლექსიკონის** გამოცემით და ბიბლიოგრაფიის ავტორს, რომ იქ ჩაეხედნა მე-41 გვერდზე ამოიკითხავდა:

Дежурный -მორიგე; მე-133 გვერდზე კიდევ: Рядовой—მერიგე. და თუ კი ასე საფუძვლიანათ მოექცეოდა თავის მოვალეობას—ამხილოს შეცდომები და იღაღადოს ჭეშმარიტება,—მაშინ რაღა ადგილი ექნებოდა მთელ ტირადას „Дежурный და рядовой"-ს შესახებ.—

„კიდევ ასეთი მრავალი შეცდომების მითითება შეიძლებოდა"... ბრძანებთ!..

„ასეთი შეცდომებით"... როგორც დარწმუნდებით „სადისციპლინო წესდებიდან" და „სამხედრო-ტეხნიკურ ლექსიკონიდან"—ალბათ ეხლა მაინც ჩაიხედავთ ერთშიაც და მეორეშიც გულდასმით—არ არსებულია და „აუცილებლად საჭიროა, რომ მომავალში ეს (თქვენი?) შეცდომები გამოსწორდეს" (წ. არმ. № 33) და ხელი აღარ მოჰკიდოთ წერას, ვიდრე საგანს ძირეულიანათ არ გაეცნობით, თუ სიმართლე და სარგებლიანობა გაინტერესებთ.

ვგონებთ, როგორც ზევითა ამონაწერები, ასეთივე ზერელე წამოძახებაა „უამრავი რუსიციზმები გვეცემათ თვალში". უამრავში ერთი ორიოდე მაინც უნდა დაესახელებინა ბიბლიოგრაფიის ავტორს, რომ მომავალში, შეუცდომელი არავინ არის, და გამოგვეყენებინა ასეთი საფუძვლიანი მითითება.

დასასრულ, თარგმნის შესახებ დარიგებაზე: „სიტყვა-სიტყვითი ნათარგმნი" არ უნდა იყოსო—ეს გაცვეთილი აზრია, რომელსაც იმეორებენ ხოლმე სიტყვა კაზმული ლიტერატურის გარჩევის დროს და იქაც ბევრი არ ეთანხმება გადმოკეთება—გადმოქართულებას; თარგმანში უნდა სჩანდეს შემქმნელი ავტორი და არა მთარგმნელის ნაცარქექიაობა, როდესაც სიტყვა სიტყვითი კარგს და ნამდვილ თარგმნას ვერ შესძლებს.—

კანონი და წესდებები უნდა გადაითარგმნოს უსათუოდ სიტყვა-სიტყვით თავიდან ბოლომდის.

მაგრამ თარგმნის წინადადებები უნდა იყოს ქართული გრამატიკის და სინტაქსისის მიხედვით დაწყობილი და გამართული. უაზრობა და გაუგებრობა იბადება სწორეთ მაშინ, როდესაც თარგმნილს წინადადების ქართული წყობა არ მოეპოება და დატვირთულია, უაზროდ, სხვა ენის ტერმინებით. ამ მხრივ გარჩევა წესდებებისა საჭიროც არის და აუცილებელიც; თუ კი ვისმეს ჩაჰკრა უნდოდა თარგმანში, აქ უნდა ეძია მასალა და არა გადამახინჯებულ ამონაწერებში და შემდეგ აჩქარებულ დასკვნებში: „უამრავი რუსიციზმები"... „ძნელი გასაგება". „სიტყვა სიტყვითი თარგმნის გვერდის ახვევა მაინც შესაძლებელია"... „ეს შეცდომები გამოსწორდეს"... და სხვა ამისთანები.

ბიბლიოგრაფს მეტი მოეთხოვება.

გუშაგი.

[1] მე-8 მუხლში მძიმე (,) გამოტოვებულია კორექტორის მიერ. დანარჩენი კი დედანთან სწორია.

რედაქცია.

## ამბები სოფლებიდან

გურჯაანის აღმასკომმა დაადგინა, კუთვნილი მარნის შენობა მოახმაროს ადგილობრივი სახალხო სახლს.

**რაჭის აღმ სკომმა** დაადგინა სოფ. ტოლას არსებული აფთიაქი გადაიტანოს სოფ. ბუგეულში.

**სოფ. ნაკიეთის** (რაჭა) თემის აღმასკომმა დაადგინა შეაკეთოს უწყრის სკოლის შენობა.

**ხიდი.** ჩაქვის აღმასკომი შეუდგა ხიდის გაკეთებას მდ. ჩაქვის წყალზე.

**მანქანის შეძენა.** ახალქალაქის აღმასკომმა შეიძინა სალეწი მანქანა გლეხებისათვის მისაქირავებლათ.

**საკრედიტო ამხანაგობა.** ბაგდანოვკის რაიონში (ჯავახეთი) გახსნა საკრედიტო ამხანაგობა.

**სიღნაღის მაზრაში** 1 თებერვლამდე აკრიფეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 72 პროცენტი. გადასახადის აკრეფა დამთავრდება ამ დღეებში

**სვანეთის აღმასკომი** აგებს სოფ. ესტიაში საავადმყოფოს, საპატიმროს და აბანოს შენობებს.

**სვანეთის აღმასკომმა** დაადგინა გამოითხოვოს ცენტრიდან 50.000 მანეთი სვანეთში სხვადასხვა საამშენებლო მუშაობათა საწარმოებლად.

## ახალი ამბები.

— **რადიო ხალხისთვის.** ტფილისის აღმასკომმა გამოყო კომისია ტფილისში ფართო. რადიო მაუწყებლის მოსაწყობათ. მაუწყებლის მოწყობა დაჯდება 25 ათასი მან.

— **პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს** ცნობით ამჟამად მთელ საქართველოში წერა-კითხვა იცის მცხოვრებთა ერთმა მესამედმა.

— **განათლების კომისარიატის** ცნობით მთელ საქართველოში ითვლება 247.680 მოწაფე და 9.449 მასწავლებელი.

## პასუხი შეკითხვებზე.

**მალაზონიას.** მიმართეთ ლეკთავს და სამხკომს, რათა გაგაგზავნონ საექიმო კომისიაში.

**შ. ლილუაშვილს.** მიუხედავად იმისა, რომ თქვენ სამხედრო სამსახურში ხართ, მაინც სარგებლობთ ყოველგვარ სამოქალაქო უფლებებით.

**საიჯანოვს.** თანახმად სავალდ. სამხ. სამს. წესდებისა 34 მუხ. § ბ. თქვენ უნდა იმსახუროთ სამი წელიწადი.

**ა. აბსანიძეს.** მიმართეთ განათლების კომისარიატის სამეურვეო განყოფილებას.

**ქორქაძეს.** რადგან თქვენ იყავით მონადირეთა საზ-ბის წევრი უფლება გქონებოდათ გქონებოდათ სანადირო თოფი, თუ ეს უკანასკნელი თქვენ ჩამოგართვეს, ამის შესახებ მიმართეთ სათანადო განცხადებით აღმას. საქ. პროკურორის თანაშემწეს გორის მაზრაში.

## ვინ იქნება შემდეგი?

1-ლი ლეგიონის მეოთხე ასეული ვიწერთ 10 ცალ გაზეთ „წითელ არმიელს" და ვიწვევთ ამავე ლეგიონის შემდეგ ასეულებს: 1-ლ ასეულს, 5-თე ასეულს, მეშვიდე ასეულს და ამავე ლეგიონის სკოლას.

**2 რე ლეგ. სამნეო ასეულის** წითელ არმიელები ვიწერთ გაზ. „წითელ არმიელს" ორ ცალს და ვიწვევთ ამავე ლეგიონიდან შემდეგ ნაწილებს: 1-ლ ასეულს და ლეგ. უმცროს მეთაურთა სკოლას.

**სუფეტ ხურმანიძეს.** მიმართეთ ლეგიონის შტაბის
როსს.

**გვანცაძეს.** თქვენი შეკითხვა გაუგებარია. მოგვწერე გარკვეულად რას კითხულობთ.

**ურთმელიძეს.** მიმართეთ თქვენს უშუალო უფროსს.

**პ. ბერაძეს.** ჯამაგირი გეკუთვნით დღიდან ბრძანებაში გატარებისა, როგორც ზედმეტ მსახურს.

**ტ-შვილს.** განსაკუთრებული წესები ჯერ არ არის გამო ცემული.

**გოგოლაშვილს.** რადგან თქვენ შტატში არ ირიცხებით, ამიტომ არ გერგებათ.

**ლაპარტყავას.** გერგებათ მე-9 ცხრილის განაკვეთის მიხედვით, როგორც ნამდვილ სამსახურში მყოფს.

**გ—ოვს.** ქარხანაში სამსახური არ გენახებათ. სამხედრო ბეგრის მოხდის შემდეგ, უნდა მოგეცეთ ადგილი პირველ რი გში.

**ბე—იას.** სადაც გაგაგზავნიან უნდა იქ წახვიდეთ. უარი თქმა არ შეგიძლიათ.

**სოსოს.** თუ თავის დროზე არ გამოცხადდით და დეზე რტირობდით, არავითარ ოჯახურ შეღავათებით არ სარგებ ლობთ.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ვ. დ—ს** (2-რე ლეგიონი) თქვენი კორესპონდენცი გამოდგება კედლის გაზეთისათვის.

**ამხ. პ. ნადარეიშვილის** (ცხენ. ლეგ.) კორესპონდენცია პარტიული ცხოვრების შესახებ სრულიად არაფერს იძლევ სწერეთ არსე ითაღ რა კეთდება კრებებზე.

**ამხ. ნარხვთისპირელს** (2 რე ლეგ.) კორესპონდენცია არ ჩვენ ჩამოვრჩებით, არ დაიბეჭდება. ეს მოვლენა თავის თავად არ არის საყურადღებო;

**ამხ. ჩაგელიშვილს** (1-ლი ლეგ.) კორესპონდენცია ტ ტრესტში ექსკურსიის შესახებ არ გავა. ასეთი იყო ჩვენ გაზეთში.

**სამხკორ ჭ ნკას.** (2 რე ლეგ.) ქართველი ექიმების შესახ მიმართეთ უფროსს სათანადო ხაზით.

**ამხ. შალვას** (3-მე ლეგ.) წერილი „საჭიროა მიექცეს ყურად ღება" გამოდგება ადგილობრივი კედლის გაზეთისათვი

**ამხ. ამხ. ნიჟარაძეს** (1-ლი არტლეგ) და მოდარიშვილ (1-ლი ლეგ.) თქვენი წერილები საზეიმო სხდომ სა ექსკურსიის შესახებ არ დაიბეჭდება. ასეთები იყო ჩვენ გაზეთში.

**მეოთხე ლეგ. ბიბგამგეს.** თქვენი განცხადება გაზეთების შე სახებ სწორია. რედაქციის ექსპედიტორს შეცდომა დაუ შვია. გაზეთების ფული მიღებულია, რომელსაც უთავ დება ვადა 5 მარტს.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-2-რე, არტ-ლეგიონის 1-ლი დივიზიონის კომ-უჯრე დში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიაში პარტიის კან დიდატათ მიღების შესახებ ვ. გოგლიჩიანს და კახნიაშვი გიორგის. (კომ-კავშირის წევრები). თუ ვინმეს საწინააღმდეგ აქვს მათი მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ქ. ქუთ ისში 1-ლ დივიზიონის კომ-უჯრედში ათი დღის განმავლო ბაში.

მე-2 ქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედშ შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატათ მ ღების შესახებ დავით თათინაშვილს (წითელი არმიელი, წის მუშა, გორის მაზრის სოფელ დოვესში მცხოვრები). კო უჯრედი გთხოვთ თუ ვისმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვ ზემო აღნიშნული ამხანაგის კ. პ. კანდიდატათ მიღების შ სახებ გვაცნობოთ ა. წ. 5 მარტამდე.

უჯრედის პ. მგ. მდივანი მ. სიხარულიძე.

ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლის მე-2-რე კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტ-კანდიდატათ მიღების შესახებ ამხ. ამხ. ივანე ნესტორის-ძე სირაძეს, (უპარტიო, ქალ. თბილისში მცხ.) 2) კალთიანი გიორგი კ რპეს-ძე (უპარტიო დაბა საჩხერის მცხოვრები.) თუ ვინმე რაიმე იცით ზემოაღნიშნულ ამხანაგების საწინააღმდეგო ხოვთ გვაცნობოთ ზემოაღნიშნულ სკოლის მე-2-რე კო რედის პრეზიდიუმში ათი დღის განმავლობაში.

2 რე კომუჯრედის პრეზიდიუმი.

ნ. დ. ს. ც.

სამხედრო სტამბა ქუცხოველის ქ. № 3.

დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი მ. სიმონგულოვი